ხელშეკრულება №115
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 22 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეების კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს „მიმდემი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ მიქაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4.„ხელშეკრულ

ების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის (რიონი,ზარათი,მეჩხერი) მზა-ბეტონის მიწოდება;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (44100000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 45462 (ორმოცდახუთიათასოთხასსამოცდაორი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის საფუძველზე.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

5.3 მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულში გამგეების წარმომადგენლის ხელმოწერები, აგრეთვე ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: წყალტუბო მუნიციპალიტეტი.

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით (თითოეულ ობიექტზე შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 კალენდარულ დღეში).

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:
შპს „მიმდემი"
მის: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი. N57,
ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE12LB0113151108960000
ს/კოდი:412679061

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისეიშვილი

შპს „მიმდემი"-ს დირექტორი

412679061

ზურაბ მიქაძე

ტერიტორიული ორგანო	სოფელი	სამუშაო	მასალები
რიონის თემი	რიონი	30502	მამრიკიშვილების უბანში (68მ3) , სულაქველიძეების უბანში (42მ3) , სინატაშვილების უბანში (29მ3) , ბრეგოულის უბანში(27მ3) და მორჩაძეების უბანში მზა ბეტონის შეძენა(12მ 3), 12 მ კბ 40 -იანი ფრაქცია , 9 ტონა ცემენტი 400 მარკიანი და საბეტონე ღორღი 27 მ .კბ. შეძენა, მხეცაძეების უბანში 8 მ .კბ 40 -იანი ფრაქცია ცემენტი 5,5 ტონა 400 მარკიანი და 18 მ .კბ საბეტონე ღორღის შეძენა, ძოწენიძეების უბანში 9 მ 3 საბეტონე ღორღი და 3 ტონა 400 მარკიანი ცემენტის შეძენა
რიონის თემი	ზარათი	12780	მამაწმინდის უბანში 20 მ 3 საბეტონე ღორღისა და 6,5 ტონა 400 მარკიანი ცემენტის შეძენა . გაღმა ზარათში 35 მ3 საბეტონე ღორღი 12 ტონა 400 მარკიანი ცემენტის შეძენა, მაღლაფვრიძეების უბანში მზა ბეტონის შეძენა (18მ3) , მუხნარის უბანში მზა ბეტონის შეძენა (18მ 3) ახალ სასაფლაოზე მზა ბეტონის შეძენა (16მ3)
რიონის თემი	მეჩხერი	2180	სოფლის გზის შეკეთებისთვის მზა ბეტონის შეძენა(14მ ^{3})
		45462	

შპს „მიმდემი"-ს დირექტორი